თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

2024 წლის 19 თებერვალი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი, დავით ღაღანიძე, ზაზა ტატულიშვილი, გიორგი ქართელელიშვილი, ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, მამუკა ბურდიაშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ეთერ გურგენაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი - **ნუგზარ ბაჩიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **ბაადურ რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ არჩილ II და აწყურელის ქუჩაზე აზრი არა აქვს ასფალტის საფარის მოწყობას ვიდრე არ მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა მისი აზრით უნდა კითხონ მოსახლეობას რომელი ურჩევნიათ საკანალიზაციო ქსელის თუ თუ ასფალტის საფარის მოწყობა. რაზეც **ნუგზარ ბაჩიაშვილმა** უპასუხა, რომ არჩილ II -ისა და აწყურელის ქუჩებზე კანალიზაციის ქსელის აშენება არის ურთულესი საკითხი მშენებლობის შემთხვევაში ქსელმა უნდა გაიაროს კერძო მესაკუთრეთა ეზოებზე, რომლებიც ართულებს მშენებლობას. აგრეთვე კანალიზაციის მშენებლობა არის წყალმომარაგების კომპანიის გადასაწყვეტი.

ივანე კირვალიძემ აღნიშნა, რომ მიესალმება სოფ. ბუშეტში წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობას, მაგრამ ანალოგიური პრობლემაა სოფ. ვანთაში, ქვ. ხოდაშენსა და სხვა სოფლებში. სასურველია ამ სოფლებშიც განხორციელლდეს წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ან მოეწყოს ჭაბურღილები. თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **ნიკოლოზ მეტრეველმა** უპასუხა, რომ მიმდინარე წელს სოფ. ვანთაში გათვალისწინებულია ჭაბურღილის მოწყობა.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილმა** საკითხი დააყენა კენჭისყრაზე მომხრე ყველა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოსმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ

საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ლევან კოჭლოშვილმა კომისიას გააცნო პროექტი წარმოდგენილი ცვლილებების შესახებ

საკითხის ირგვლივ შეკითხვები არ ყოფილა. პროექტს მხარი დაუჭირა ყველა წევრმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი**